



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N9

ქ.ლანჩხუთი

07.06.2017 წელი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ხელაძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ბესიკ ტაბიძე, საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე რომან ბიწაძე, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩახვაძე, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე სარიშვილი, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ია ჩხაიძე, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე ჯუმბერ ბლაგიძე, საკრებულოს ფრაქცია „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“ თავმჯდომარე ელგუჯა ჩხაიძე, საკრებულოს ფრაქცია „უკეთესი ლანჩხუთისათვის“ თავმჯდომარე ომარ გოგიჩაიშვილი, საკრებულოს წევრები (სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის), საკრებულოს აპარატის უფროსი ნინო ძიძიგური, საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების უფროსი ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი ნუნუ სულაკაძე.

სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული პირები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე ნუგზარ ცინცაძე, გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსი გიორგი ფაცურია, გამგეობის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი ლევან ჩხაიძე, გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსი შოთა ჩაგუნავა, ა(ა)იპ საგარეო-ეკონომიკური კავშირურთიერთობების, ინვესტიციების, ტრანსპორტის, ტურიზმის და მეწარმეობის განვითარების ცენტრის დირექტორი გელა ზოიძე, „ოზურგეთის ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბის“ პროექტების კოორდინატორი ლევან მჭავანაძე, შავი ზღვის საერთაშორისო კომისიის სანაპიროს ინტეგრირებული მართვის მრჩეველთა საბჭოს წევრი ამირან გიგინეიშვილი, მედიის წარმომადგენლები.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, **გიორგი ხელაძემ** განმარტა, რომ რიგგარეშე სხდომის ფორმატში საკრებულოს სხდომა მოწვეულ იქნა მუნიციპალიტეტის გამგებლის წინადადების საფუძველზე. სხდომაზე განსახილველად წარმოდგენილია ორი საკითხი: პირველი ეხება 2017 წლის ბიუჯეტში დაგეგმილ ცვლილებას, მეორე გახლავთ გრანტის აღებაზე გამგებლისთვის თანხმობის მიცემასთან დაკავშირებული პროექტი, რომელსაც თან ახლავს მთავრობის განმარტება გრანტის აღებასთან დაკავშირებით. კერძოდ, საუბარია ევროკავშირის მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსზე, რომელშიც გაიმარჯვა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტმა სხვა ბენეფიციარებთან ერთად, აღნიშნული პროექტი გურიის ტურიზმის სექტორის მდგრადი და ყოვლისმომცველი განვითარების ხელშეწყობას ემსახურება.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის N30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თობაზე“ ლანჩხუთის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თობაზე.

/მომხსენებელი რ. ლაშხია/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მიერ გრანტის მიღების და შესაბამისი პროცედურების განხორციელებაზე გამგებლისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თობაზე.

/მომხსენებელი ნ.ცინცაძე /

სხდომას შემოუერთდა დეპუტატი ელისო ჭიჭინაძე.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის N30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თობაზე“ ლანჩხუთის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსმა, **როლანდ ლაშხიამ**. მან აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის 19 მაისის N984 განკარგულებით აზიური ფაროსანას წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებისათვის გამოყოფილია და 2017 წლის ბიუჯეტში ასახულია გრანტის სახით 215 784 ლარი. შესაბამის სამინისტროებთან სიტყვიერი შეთანხმების საფუძველზე მიზანშეწონილია აღნიშნული ღონისძიება განხორციელდეს ა(ა)იპ საგარეო-ეკონომიკური კავშირურთიერთობების, ინვესტიციების, ტრანსპორტის, ტურიზმის და მეწარმეობის განვითარების ცენტრის მეშვეობით, რისთვისაც გადაეცეს 215 784 ლარი სუბსიდიის სახით. კერძოდ, 1 998 ჰა

თხილის ფართობის დასამუშავებლად საჭირო მუშახელის შრომის ანაზღაურებისთვის - 199 800 ლარი, ხოლო საწვავისთვის - 15 984 ლარი.

დეპუტატმა, **გიორგი გოგუაძემ** აღნიშნა, რომ მოსახლეობა წინააღმდეგია შეთავაზებული ნივთიერებით განხორციელდეს შეწამვლითი სამუშაოები, რადგან შეიძლება სასიცოცხლო ზიანი მიადგეს მათ. სურსათის უვნებლობის სამსახურის წარმომადგენლებთან შეხვედრაზე დეპუტატმა დასვა რამდენიმე საკითხი, მაგრამ პასუხი ვერ მიიღო. დეპუტატის თქმით, აზიური ფაროსანა არ ეტანება თხილს, რისი ერთ - ერთი დადასტურება ისაა, რომ ფართობებში დამონტაჟებული ე.წ. „სატყუარები“ ძალიან მცირე რაოდენობის მავნებელს ანადგურებს. იმ ა(ა)იპ-ს ხელმძღვანელობამ, რომელსაც სუბსიდიის სახით გადაეცემა გამოყოფილი თანხა, უნდა განმარტოს, თუ რა პროცედურებს ჩაატარებს და როგორ მოხდება პრეპარატის გამოყენება. ცხადია, რომ შეწამვლის შედეგად დაზიანდება კერძო მესაკუთრის მეურნეობა. გასარკვევია, ვის უნდა მიმართოს მან მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად. საკრებულოს წევრს ამ საკითხთან დაკავშირებით ჰქონდა შეხვედრა, როგორც გამგეობის იურიდიულ, ასევე სურსათის უვნებლობის სამსახურთან, მაგრამ მისთვის საინტერესო შეკითხვებზე პასუხი ვერ მიიღო. დეპუტატი დაინტერესდა, ვინ იქნება პასუხისმგებელი კერძო მესაკუთრეებისთვის ზარალის ანაზღაურებაზე - ა(ა)იპ თუ სახელწიფო. მისი აზრით, აზიური ფაროსანას წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებების გამოყენება ხდება პოლიტიკური მიზნებისთვის, რადგან მიმდინარე წელს ხელისუფლება ვერ ახორციელებს ხვნა - თესვით სამუშაოებს.

დეპუტატმა, **აკაკი იმნაიშვილმა** აღნიშნა, რომ ვერ დაეთანხმება გიორგი გოგუაძეს ე.წ. „სატყუარებთან“ დაკავშირებით, რადგან ისინი ძალიან ბევრ მავნე მწერს ანადგურებს.

საკრებულოს ფრაქციის, „ლანჩუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“ თავმჯდომარემ, **ელგუჯა ჩხაიძემ** აღნიშნა, რომ აზიური ფაროსანას განადგურების წინააღმდეგი არავინ არ არის, მაგრამ არავის არ უნდა მიადგეს რაიმე სახის ზიანი. მისი თქმით, მუნიციპალიტეტში მოღვაწე უცხოელმა პედაგოგებმა საკუთარ ქვეყნებში გადააგზავნეს ინფორმაცია აღნიშნულ პრეპარატზე, საიდანაც მიიღეს მითითება, რომ მისი გამოყენების შემთხვევაში რისკ - ფაქტორების თავიდან ასაცილებლად აუცილებლად უნდა გაიკეთონ შესაბამისი ვაქცინა, რადგან აღნიშნული ნივთიერება წარმოადგენს სერიოზულ საფრთხეს ადამიანებისთვის.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ სოფლებში ამ საკითხთან დაკავშირებით პანიკური მდგომარეობაა, რადგან მოსახლეობა სათანადოდ არ არის ინფორმირებული. მისი აზრით, ის პიროვნებები, რომლებმაც უნდა ჩაატარონ შეწამვლითი სამუშაოები, ვერ იქნებიან ისე სათანადოდ მომზადებულები და კვალიფიციურები, რომ ზიანი არ მიადგეთ. ყოველივე ამას კი შეიძლება სავალალო მდგომარეობა მოყვეს. სპეციალისტების აზრით, შემოთავაზებული პრეპარატი ძალიან საფრთხის შემცველია. აქედან გამომდინარე, დეპუტატმა საკუთარი ნაკვეთი შეწამლა სხვა გაცილებით უვნებელი პრეპარატით. მან გამოთქვა მოსაზრება, რომ უკეთესია მოძიებული და გამოყენებული იქნას ალტერნატიული, ნაკლებ საფრთხის შემცველი შესაწამლი ნივთიერება.

დეპუტატ, **დარეჯან ბურჭულაძის** აზრით კარგია, რომ ამ კუთხით გამოიყო თანხა, რათა მოსახლეობა ეკონომიურად წელში გაიმართოს, მაგრამ შეწამვლის პროცესთან დაკავშირებით ჩნდება მრავალი კითხვა. გაზეთ „ჰო და არა“-ს ბოლო ნომერში გამოქვეყნებული სტატიის გაცნობის შემდეგ მოსახლეობას ნამდვილად არ გაუჩნდება

სურვილი, რათა შეთავაზებული პრეპარატი მოხდეს ფართობების შეწამვლა. სურსათის უვნებლობის სამსახურის წარმომადგენლებთან შეხვედრის შემდეგ, დეპუტატი გაესაუბრა მეფუტკრეებს და სოფლის მოსახლეობას, რომლებიც გამოთქვამენ უკმაყოფილებას შესაწამლ პრეპარატთან დაკავშირებით, ვინაიდან იგი საფრთხის შემცველია. მოსახლეობის თქმით, ფიზიკურად შეუძლებელია როგორც ფუტკრის, ასევე ცხოველების და ფრინველების რამდენიმე დღით სკებსა და სადგომებში გაჩერება, რათა არ მოხდეს მათი განადგურება. კარგია, რომ გამოყოფილი თანხა სუბსიდიის სახით გადაეცემა ა(ა)იპ საგარეო-ეკონომიკური კავშირთა დეპარტამენტის, ინვესტიციების, ტრანსპორტის, ტურიზმის და მეწარმეობის განვითარების ცენტრს. მაგრამ დეპუტატი დაინტერესდა, არიან თუ არა პროფესიულ დონეზე მზად ის ადამიანები, რომლებმაც უნდა განახორციელონ ფართობების შეწამვლა და ვინ უნდა გადაამზადოს ისინი აღნიშნული სამუშაოების კვალიფიციურად ჩატარებისთვის. მან ასევე აღნიშნა, რომ სურსათის უვნებლობის სამსახურის წარმომადგენლებთან შეხვედრაზე გამოითქვა მოსაზრება, რომ შეწამვლის პროცესს უნდა დაესწრონ დეპუტატები. შესაწამლი პრეპარატი არის საფრთხის შემცველი. ამასთან, პიროვნება, რომელიც ახორციელებს შეწამვლას, აღჭურვილი უნდა იყოს სპეციალური ტანსაცმლით. საკრებულოს წევრი დაინტერესდა, როგორ ან რატომ უნდა დაესწრონ ისინი შეწამვლის პროცესს. დეპუტატი ნამდვილად არ არის წინააღმდეგი, რომ აღნიშნული სამუშაოები ჩატარდეს, მაგრამ ის ეთანხმება საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს, ალექსანდრე სარიშვილს, რომ არსებობს ალტერნატიული პრეპარატები. საკრებულოს წევრი დაინტერესდა, რატომ უნდა მოხდეს შეწამვლა მაინცდამაინც იმ ნივთიერებით, რომელიც ბადებს ძალიან ბევრ კითხვას და არ გამოიყენება ნაკლებ საფრთხის შემცველი პრეპარატი.

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ, **ჯუმბერ ბლაგიძემ** აღნიშნა, რომ გუბერნატორის მოადგილესა და სურსათის უვნებლობის სამსახურის წარმომადგენლებთან შეხვედრაზე დეპუტატების მხრიდან გამოითქვა უკმაყოფილება ე. წ. „სატყუარებთან“ დაკავშირებით, რადგან მათი მოქმედება ვრცელდება მხოლოდ რამდენიმე კვადრატული მეტრის ფართობზე. მოსახლეობის თხოვნაა, რომ ისინი დამონტაჟდეს გაცილებით მეტი რაოდენობით. დეპუტატის აზრით, შეწამვლის პროცესთან დაკავშირებული დამცავი ღონისძიებები არ არის საკმარისი. სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულში თხილის ფართობებიდან დაახლოებით 50 მეტრში მიედინება მდინარე სუფსა, რომელიც საბოლოოდ უერთდება შავ ზღვას. მან ასევე აღნიშნა, რომ პიროვნებები, რომლებიც შეირჩა აღნიშნული სამუშაოების ჩასატარებლად, უარს აცხადებენ განახორციელონ ფართობების შეწამვლა. იმ სამსახურების მხრიდან, რომელთაც ევალებათ ამ კონკრეტული ადამიანებისთვის ტრენინგების ჩატარება, აუცილებელია მეტი განმარტება, ასევე სურსათის უვნებლობის სამსახურმა მოსახლეობას უნდა მიაწოდოს მეტი ამომწურავი ინფორმაცია. სხვა შემთხვევაში, მთავრობის მიერ გამოხატული კეთილი ნება, რომ დაეხმარონ მოსახლეობას მავნე მწერების წინააღმდეგ ბრძოლაში, შედეგს ვერ გამოიღებს. დეპუტატი თავის მხრივ ეთანხმება, რომ შეწამვლის ჩატარება აუცილებელია, მაგრამ ეს პროცესი ყველა დონეზე უნდა იქნას აყვანილი კონტროლზე.

დეპუტატი **ელისო ჭიჭინაძე** დაინტერესდა, გამოყენებულ იქნა თუ არა აღნიშნული პრეპარატი შესაწამლად სხვა მუნიციპალიტეტში, ასევე არსებობს თუ არა ალტერნატიული პრეპარატი, რომელიც უფრო უვნებელი და ნაკლებად ტოქსიკურია. დეპუტატმა ასევე აღნიშნა, რომ საჭიროა მოქალაქეებისთვის მეტი ინფორმაციის მიწოდება შესაწამლად შემოტანილ ნივთიერებასთან დაკავშირებით, რათა იცოდნენ მისი დადებითი და უარყოფითი მხარეების შესახებ. მოსახლეობის უმრავლესობა

წინააღმდეგია ამ პრეპარატის გამოყენების. თავის მხრივ, დეპუტატი ბოლომდე არ არის დარწმუნებული, რომ შემოთავაზებული ქიმიური პრეპარატი არ შეიცავს სერიოზულ საფრთხეს.

დეპუტატმა, **დავით ჩხარტიშვილმა** აღნიშნა, რომ აუცილებელია შექმნილ სიტუაციასთან ძალიან სერიოზული მიდგომა, რადგან საქმე ეხება ადამიანის სიცოცხლეს. სურსათის უვნებლობის სამსახურის წარმომადგენლებთან გამართულ შეხვედრაზე აღნიშნა, რომ ეს პრეპარატი სრულიად უვნებელია, მაგრამ არსებობს საპირისპირო ინფორმაცია, რომ აღნიშნული ნივთიერება სიცოცხლისთვის საფრთხის შემცველია. ამ შეხვედრაზე ასევე ითქვა, რომ კახეთისა და ქართლის რეგიონებში უკვე მიმდინარეობს შეწამვლითი სამუშაოები, რომელზეც გამოიყენება ეს ქიმიური პრეპარატი. დეპუტატის აზრით, გადასამოწმებელი და გასარკვევია, მართლაც ხორციელდება თუ არა ამ რეგიონებში აღნიშნული სამუშაოები კონკრეტული შესაწამლი ნივთიერების საშუალებით. მისი თქმით, უმჯობესი იქნება, რომ ეს თანხა მიიმართოს ალტერნატიული პრეპარატის შესაძენად, რომელიც უფრო უვნებელი და ნაკლებ საფრთხის შემცველია, ამასთან გაცილებით იაფიც.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ, **ია ჩხაიძემ** აღნიშნა, რომ თავის მხრივ ეთანხმება დეპუტატ გიორგი გოგუაძეს. ის ა(ა)იპ, რომელმაც უნდა განახორციელოს შეწამვლითი სამუშაოები, სავარაუდოდ კომპეტენტურები და საქმეში ჩახედულები იქნებიან აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში. დეპუტატმა თხოვნით მიმართა ა(ა)იპ საგარეო-ეკონომიკური კავშირთა დირექციის, ინვესტიციების, ტრანსპორტის, ტურიზმის და მეწარმეობის განვითარების ცენტრის დირექტორს, რომ გააკეთოს განმარტება და დეპუტატები კიდევ ერთხელ დაარწმუნოს, რომ მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილების შედეგად მოსახლეობა არ დაზარალდება.

დეპუტატ, **დარეჯან ბურჭულაძის** თქმით, ა(ა)იპ საგარეო-ეკონომიკური კავშირთა დირექციის, ინვესტიციების, ტრანსპორტის, ტურიზმის და მეწარმეობის განვითარების ცენტრის დირექტორი ვერანაირად ვერ დაარწმუნებს დეპუტატებს პრეპარატის ავკარგიანობაში. ეს არის სახელმწიფო სუბსიდია და იგი გადაეცემა კონკრეტულ ა(ა)იპ-ის, რომელმაც შესაბამისად უნდა განახორციელოს დაკისრებული მოვალეობა.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **რომან ბიწაძემ** აღნიშნა, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კომპეტენტური ვერ იქნება, მაგრამ დაინტერესდა და მოიპოვა გარკვეული ინფორმაცია. ფაქტია, რომ ეს შხამ - ქიმიკატი ძალიან აგრესიული და საშიშია, როგორც ადამიანებისთვის, ასევე ცხოველებისა და ფრინველებისთვის. დეპუტატის აზრით, სახელმწიფომ დაუშვა სტრატეგიული შეცდომა, რადგან ტერიტორიულ ერთეულებს შორის რთული იქნება კომუნიკაცია შეწამვლითი სამუშაოების ჩატარებასთან დაკავშირებით. ადამიანი მეტ - ნაკლებად დაიცავს თავს, მაგრამ ძალიან ძნელია ცხოველებისა და ფრინველების, ასევე ფუტკრის გაჩერება რამდენიმე დღის განმავლობაში სადგომებსა თუ სკვებში. დეპუტატის თქმით, ანალოგიური მოქმედებისაა პრეპარატი „კარატე“, რომელიც ნაკლებ ტოქსიკურია და არანაირ ზიანს არ აყენებს ფუტკარს. ამიტომ უმჯობესი იქნებოდა, რომ თავიდანვე ეს პრეპარატი ყოფილიყო შეძენილი.

გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსმა, **როლანდ ლაშხიამ** აღნიშნა, რომ საკითხი ეხება დაფინანსებასა და

უზრუნველყოფას. ა(ა)იპ განახორციელებს დაფინანსებას და პრეპარატის გამოყენების შემდგომ შედეგებზე პასუხისმგებელი არ არის. შეწამვლის სამუშაოებს კურირებს სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო და შესაბამისი სამსახური. აქედან გამომდინარე, სათანადო განმარტებები შეწამვლის პროცესთან დაკავშირებით და პრეპარატის შესახებ უნდა მოეთხოვოს სურსათის უვნებლობის სამსახურს.

ა(ა)იპ საგარეო-ეკონომიკური კავშირთა ეროვნული ცენტრის, ინვესტიციების, ტრანსპორტის, ტურიზმის და მეწარმეობის განვითარების ცენტრის დირექტორმა, **გელა ზოიძემ** განმარტა, რომ ეს არ არის ა(ა)იპ-ის ინიციატივა და მათ არ მოუთხოვიათ თანხა, რომ შეწამვლით სამუშაოები შეესრულებინათ. ისინი გარკვეულ ეტაპზე ჩართულები იყვნენ ამ პროცესებში ინფორმაციის მიღების თვალსაზრისით, მაგრამ არ იყო განსაზღვრული. რომ შემსრულებელი ა(ა)იპ საგარეო-ეკონომიკური კავშირთა ეროვნული ცენტრის, ინვესტიციების, ტრანსპორტის, ტურიზმის და მეწარმეობის განვითარების ცენტრი იქნებოდა. ა(ა)იპ - ის ხელმძღვანელი დეპუტატებს დაპირდა, რომ მათთან აქტიურად ითანამშრომლებს და შეუთანხმებლად არანაირ გადაწყვეტილებას არ მიიღებს. ცხადია, რომ შეწამვლა მავნებელია ადამიანის ჯანმრთელობისთვის, თუ შესაბამისი ნორმები არ იქნა დაცული. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ვადები შეზღუდულია. ამ კუთხით სპეციალისტები ა(ა)იპ - ის ნამდვილად არ ყავს. კადრები, რომლებმაც შეწამვლა უნდა აწარმოონ, მოსამზადებელია. როცა სხვა ალტერნატიული წამლით ხდება შეწამვლა, ისეთივე ტოქსიკური და ზიანის მომტანია, თუ მათი გამოყენებისას საჭირო ნორმების დაცვა არ მოხდა. ამასთან, ინფორმაცია აღნიშნული პრეპარატის შესახებ ადგილობრივი პრესის საშუალებითაც იქნა გავრცელებული.

სხდომას შემოუერთდა დეპუტატი ამირან ქანთარია.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილემ, **ნუგზარ ცინცაძემ** აღნიშნა, რომ მავნე მწერთან ბრძოლის მრავალი ხერხი არსებობს. შეწამვლის პროცესი ძალდატანებითი არ არის. მუნიციპალიტეტის ვეტ - აფთიაქებში იყიდება ბიოლოგიური პრეპარატი „ნოსტალჯისტი“. ფერმერისა და გლეხის სურვილზე დამოკიდებული, თუ რომელი პრეპარატით შეწამლავს საკუთარ ფართობებს.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ შეწამვლითი სამუშაოები ხორციელდება უფასოდ, რაც გლეხისთვის ძალიან ხელსაყრელია, მაგრამ მას არ გააჩნია სრული ინფორმაცია გამოყენებული პრეპარატის შესახებ. ყოველივე ამას კი შეიძლება სავალალო შედეგი მოყვეს.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, **გიორგი ხელაძემ** აღნიშნა, რომ სურსათის უვნებლობის სამსახურის წარმომადგენლებთან შეხვედრაზე ადმინისტრაციულ ერთეულებში გამგებლის წარმომადგენლებს განემარტათ და ეთხოვათ, რომ მისულიყვნენ თითოეულ ოჯახში და მოსახლეობისთვის მიეწოდებინათ სრული ინფორმაცია აღნიშნულ პრეპარატთან დაკავშირებით.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილემ, **ნუგზარ ცინცაძემ** აღნიშნა, რომ საკრებულოს თავმჯდომარის წინადადებით მოწვეულ იქნას სურსათის უვნებლობის სამსახურის წარმომადგენლები და შესაბამისი სპეციალისტები, რათა მათ კიდევ ერთხელ განმარტონ, როგორ უნდა იქნას გამოყენებული პრეპარატი და რა

ლონისძიებებია გასატარებელი, რომ ჩატარებულ სამუშაოებს არ მოყვას გაუთვალისწინებელი შედეგები.

დეპუტატმა, **თეიმურაზ მარშანიშვილმა** აღნიშნა, რომ მას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჰქონდა შეხვედრა სოფლის მოსახლეობასთან. მისი თქმით, ისინი მხოლოდ მაშინ დათანხმდებიან შემოტანილი ქიმიური პრეპარატით შეწამვლითი სამუშაოების ჩატარებას, თუ შედეგებზე ხელისუფლება იქნება პასუხისმგებელი. დეპუტატი დაინტერესდა, თუ ვინ აიღებს ამ პასუხისმგებლობას.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, **გიორგი ხელაძემ** აღნიშნა, რომ წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით იწყება ადმინისტრაციული წარმოება. მნიშვნელობიდან გამომდინარე საჭიროა ყველა კომისიის და ფრაქციის მიერ მოხდეს მისი ძირეული განხილვა. ასევე, შესაძლებელია შედგეს გაფართოებული ფორმატის შეხვედრა, რომელზეც მოწვეულ იქნებიან სურსათის უვნებლობის სამსახურისა და ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის წარმომადგენლები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები. ასევე, მან თხოვნით მიმართა მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილეს, ნუგზარ ცინცაძეს და შავი ზღვის საერთაშორისო კომისიის სანაპიროს ინტეგრირებული მართვის მრჩეველთა საბჭოს წევრს, ამირან გიგინეიშვილს, რომ ისინი აქტიურად ჩაერთონ განხილვებში. საბოლოოდ, ერთობლივი მუშაობის შედეგად მიღებულ უნდა იქნას ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც არ მიაყენებს ზიანს მოსახლეობას.

დეპუტატმა, **გიორგი გოგუაძემ** თხოვნით მიმართა საკრებულოს თავმჯდომარეს, გიორგი ხელაძეს, რომ საკრებულოს აპარატმა უზრუნველყოს საკრებულოს ფრაქციის სხდომებზე ა(ა)იპ საგარეო-ეკონომიკური კავშირურთიერთობების, ინვესტიციების, ტრანსპორტის, ტურიზმის და მეწარმეობის განვითარების ცენტრის დირექტორის, გელა ზოიძის, ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორის, ვლადიმერ ჩხაიძის, ასევე სურსათის უვნებლობის სამსახურის წარმომადგენლების ერთობლივი მოწვევა, რათა მათ გასცენ შეწამვლის სამუშაოებსა და გამოყენებულ პრეპარატთან დაკავშირებით დასმულ ყველა შეკითხვას სრულყოფილი და სათანადო პასუხი.

დეპუტატების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

კენჭისყრას ესწრებოდა 22 დეპუტატი.

მომხრე: 22 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.

მიღებულ იქნა განკარგულება N 45 (07.06. 2017 წელი).

დღის წესრიგის მეორე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მიერ გრანტის მიღების და შესაბამისი პროცედურების განხორციელებაზე გამგებლისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

სხდომას გააცნო გამგებლის მოადგილემ, **ნუგზარ ცინცაძემ**. მან აღნიშნა, რომ ტურიზმის განვითარება ძალიან მნიშვნელოვანია როგორც გურიის რეგიონისთვის, ასევე, მთლიანად ქვეყნის ეკონომიური და კულტურული პოტენციალის გაზრდისთვის. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტმა სხვა თანაბენეფიციარებთან ერთად მონაწილეობა მიიღო და გაიმარჯვა ევროკავშირის მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში. პროექტის სახელწოდებაა „მონაწილეობითი CHARRETTE გურიის ტურიზმის განვითარების სტრატეგიისთვის. პროექტის მიზანია გურიის შესაბამისი მუნიციპალიტეტების, ადგილობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფო ორგანოების ერთობლივი ძალისხმევით, გურიის ტურიზმის სექტორის მდგრადი და ყოვლისმომცველი განვითარების ხელშეწყობა, რეგიონის მიმზიდველობის შესახებ საზოგადოების ინფორმირების დონის გაზრდის გზით. სხვადასხვა დაინტერესებული მხარისა და მონაწილეობითი პროცესის საშუალებით შემუშავდება გურიის ტურიზმის განვითარების სტრატეგიული გეგმა, რომელიც ეფუძნება ინფორმაციის გამჭვირვალობას, ღია და ინკლუზიურ კონსულტაციებს და მოქალაქეთა აქტიურ ჩართულობას კონცეფციის შექმნასა და გადაწყვეტილების მიღებაში.

პროექტის მთლიანი ღირებულება შეადგენს 416 388 (ოთხას თექვსმეტი ათას სამას ოთხმოცდარვა) ევროს, საიდანაც ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს გამოეყო გრანტი 14 748 (თოთხმეტი ათას შვიდას ორმოცდარვა) ევროს ოდენობით. იმისათვის რომ გრანტი მიიღოს მუნიციპალიტეტმა, აუცილებელია მთავრობის ნებართვა. შესაბამისად, მთავრობის სხდომაზე აღნიშნული საკითხის განხილვის შემდეგ მოხდება ამ თანხის მიღება.

საკრებულოს თავმჯდომარის თანხმობით, „ოზურგეთის ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბის“ პროექტების კოორდინატორმა, **ლევან მჟავანაძემ** აღნიშნა, რომ პროექტის განხორციელებაში გურიის ოთხივე მუნიციპალიტეტთან ერთად ჩართული იყო რეგიონალური განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, ტურიზმის ეროვნული სააგენტო, არასამთავრობო ორგანიზაციები, „სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი“ და „ოზურგეთის ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბი“. შექმნილია დირექტორთა საბჭო, რომელშიც შედის ოთხი მუნიციპალიტეტის გამგებელი. პროექტის ფარგლებში შემუშავდა სპეციალური მონაცემთა ბაზა, რომელზეც დატანილი იქნა ყველა მნიშვნელოვანი ტურისტული ობიექტი, რომელიც შეიძლება განვითარდეს და ტურისტისთვის საინტერესო იყოს, როგორც ისტორიული, არქიტექტურული ობიექტები, ინფორმაცია სასტუმროების, სპორტული კომპლექსების თუ სხვა მომსახურების სერვისების შესახებ. შექმნილია ასევე ქართულ და ინგლისურ ენოვანი მობილური აპლიკაცია - (დამუშავების პროცესშია რუსულ ენოვანი აპლიკაცია) „რა ყოფილა გურია“, რომელიც ივლისიდან ამოქმედდება. აპლიკაციის საშუალებით შესაძლებელი იქნება გურიის ტურისტული ინფორმაციის მოძიება. ზაფხულში გაიმართება ფესტივალი, ე. წ. „CHARRETTE“, სადაც სხვადასხვა ექსპერტები იქნებიან მოწვეულები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას დაამუშავებენ გურიის ტურისტული პოტენციალის შესახებ. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მონაწილეობით განხორციელდება პროექტი, რის შედეგადაც შემუშავდება გურიის ტურიზმის განვითარების სტრატეგიული გეგმა, რომელიც დაეფუძნება ინფორმაციის გამჭვირვალობას, მოქალაქეთა ჩართულობას გადაწყვეტილების მიღებაში, რაც გამოიწვევს ბიზნეს სექტორში ინვესტირების სტიმულირებას და ზოგადად, გურიაში ტურიზმის სექტორის განვითარებას. ყოველივე ეს მოახდენს გურიის რეგიონის, როგორც ტურისტული ადგილის და რეგიონში ტურიზმის ინვესტირების შესაძლებლობის პოპულარიზებას, როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო დონეზე. ამასთან,

დამატებით გამოყოფილია 80 000 ევრო, საიდანაც ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის წილი შეადგენს 20 000 ევროს. ეს გრანტი შეიძლება გაიცეს მცირე დაფინანსებებზე, როგორცაა, სუვენირების დამზადება, ოჯახურ სასტუმროებში გარკვეული ინფრასტრუქტურის მოწყობა და ა.შ. მაგრამ არის აუცილებელი ვალდებულება და მოთხოვნა. როგორც ცნობილია, პროექტის მთლიანი ღირებულება შეადგენს 416 388 ევროს, საიდანაც კონტრაქტორი სტრუქტურა გაიღებს 374 749 ევროს, ხოლო დარჩენილი 41 639 ევრო ფინანსდება ოზურგეთის, ჩოხატაურის და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტების მიერ. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტისთვის თანადასაფინანსებელი თანხა შეადგენს 8 328 ევროს.

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ, **ჯუმბერ ზლაგიძემ** მაძღოდა გადაუხადა „ოზურგეთის ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბს“ ამ საქმეში მთავარი მონაწილეობისთვის. რის შემდეგაც აღნიშნა, რომ ყვავილნარი - გრიგოლეთის სანაპირო ზოლის ქვიშის მაგნიტური კვლევების ჩასატარებლად საჭიროა 2 000 ლარი, რის გარეშეც გრიგოლეთის კურორტად აღიარება ვერ მოხდება. არადა, ბუნებრივი პირობების მიხედვით ყვავილნარი და გრიგოლეთი არაფრით არ ჩამოუვარდება ურეკის სანაპირო ზოლს. ოზურგეთის მუნიციპალიტეტს ჰყავს სანაპირო ზოლის დასასუფთავებელი სპეციალური ტექნიკა. დეპუტატი დაინტერესდა, ხომ შეიძლება, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტისთვისაც მოხდეს ანალოგიური ტექნიკის შეძენა. ზღვის სეზონის პერიოდში მოსახლეობა ამზადებს სხვადასხვა სახის სუვენირს, რომელთაც სიამოვნებით იძენენ ჩამოსული ტურისტები. დეპუტატის თქმით, კარგი იქნება, თუ ამ კუთხით მოსახლეობის დახმარებისთვის გამოიყოფა გარკვეული თანხა. ტურისტული თვალსაზრისით ასევე გასათვალისწინებელია ჯიხეთის სამონასტრო კომპლექსი, რომლის პროექტის განსახორციელებლად დატკიცებულია რამდენიმე ათასი ლარის დაფინანსება.

დეპუტატ, **დარეჯან ბურჭულაძის** თქმით, ის, როგორც ტურიზმის სფეროს წარმომადგენელი მოხარულია, რომ ეს თემა ასეთი აქტუალური გახდა. მან აღნიშნა, რომ 2009 წელს, პირველად საქართველოში, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში შეიქმნა დამოუკიდებელი სამსახური ა(ა)იპ ტურიზმის განვითარების ცენტრი, რომელმაც დიდი სამუშაოები გაწია. სამსახურის მიერ გაწერილ იქნა ბევრი პროექტი, რომელთა განხორციელება, დეპუტატის თქმით, ახლა იწყება. შესაბამისად, ამ პროცესში ისინი აქტიურად ჩაერთვებიან. წარმოდგენილ პროექტზე მუშაობა დაახლოებით ერთი წელია მიმდინარეობს. პირველ რიგში შეიქმნა ტურიზმის განვითარების სტრატეგიული რუკა, ახლახანს დასრულდა შეხვედრა საჭიროების კვლევის ფარგლებში. სამუშაო პროცესი ინტენსიურად გრძელდება. დეპუტატმა მაძღოდა გადაუხადა „ოზურგეთის ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბს“, სამოქალაქო განვითარების ორგანიზაციას, რომელიც ამ კლუბის თანაპარტნიორია, ასევე, იმ მუნიციპალიტეტებს, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს აღნიშნულ კონკურსში, მაგრამ მთავარი ისაა, რომ ტურიზმის ხელშეწყობა და განვითარება დადებითად აისახება მოსახლეობის სოციალურ - ეკონომიურ მდგომარეობაზე.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარის, **ია ჩხაიძის** აზრით, ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა მისასალმებელი ფაქტია. მან აღნიშნა, რომ საკრებულოს სივრცით-

ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის, ჯუმბერ ბლაგიძის მიერ დასმული საკითხი გრიგოლეთის კურორტად აღიარებასთან დაკავშირებით, ძალიან მტკივნეულია. სანაპირო ზოლის კვლევისთვის საჭიროა დაახლოებით 2 700 ლარი. წინააღმდეგ შემთხვევაში, გრიგოლეთი არ იქნება დატანილი ტურისტულ რუკაზე. დეპუტატის თხოვნაა, რომ პირველ რიგში თანხა მიიმართოს ამ მიმართულებით. მან ასევე აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, სოფელ მამათში იგეგმება ედუარდ შევარდნაძის სახლ - მუზეუმის გახსნა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საკრებულოში შექმნილია სამუშაო ჯგუფი, რომელიც ინტენსიურად მუშაობს. დეპუტატი დაინტერესდა, შესაძლებელი იქნება თუ არა პირველი ეტაპისთვის მუზეუმისთვის გარკვეული თანხის გამოყოფა.

დეპუტატმა, **გიორგი გოგუაძემ** მადლობა გადაუხადა „ოზურგეთის ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბის“ პროექტების კოორდინატორს, ლევან მჟავანაძეს გაწეული მუშაობისთვის. ამასთან, აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში თავის დროზე არსებობდა დამოუკიდებელი ტურისტული ბიურო, რომელიც ინტენსიურ საქმიანობას ეწეოდა, რის შედეგადაც, მუნიციპალიტეტში ძალიან ბევრი ტურისტი ჩამოდიოდა. სწორედ ამან განაპირობა, რომ 2009 წელს შეიქმნა დამოუკიდებელი სამსახური ა(ა)იპ ტურიზმის განვითარების ცენტრი. შემდეგ მოხდა რამდენიმე ა(ა)იპ - ის გაერთიანება და ეს სამსახური მასში შევიდა, როგორც განყოფილება. დეპუტატმა თხოვნით მიმართა „ოზურგეთის ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბის“ პროექტების კოორდინატორს, ლევან მჟავანაძეს, რომ ეს განყოფილება გამოეყოს ცალკე სამსახურად, რადგან დამოუკიდებლად გაცილებით მეტ სასარგებლო საქმეს გააკეთებს. მით უმეტეს, რომ მუნიციპალიტეტს ტურისტული განვითარების თვალსაზრისით დიდი პოტენციალი აქვს.

დეპუტატ, **თეიმურაზ მარშანიშვილის** თქმით, მისასალმებელია, რომ მუნიციპალიტეტმა მოიპოვა გრანტი. მაგრამ ასევე აღნიშნა, რომ ძალიან ცუდი მდგომარეობაა გრიგოლეთის სანაპირო ზოლზე. ოზურგეთის მუნიციპალიტეტი ახორციელებს სანაპირო ზოლის დასუფთავებას, მაგრამ გრიგოლეთის საზღვართან წყვეტს აღნიშნულ სამუშაოებს. მან თხოვნით მიმართა „ოზურგეთის ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბის“ პროექტების კოორდინატორს, ლევან მჟავანაძეს, რომ ყოველივე ეს იქნას გათვალისწინებული. დეპუტატს ჰქონდა შეხვედრა ადგილობრივ მოსახლეობასთან. ისინი გამოთქვამენ უკმაყოფილებას აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით, რადგან ჩამოსული სტუმარი როცა ხედავს ასეთ მდგომარეობაში სანაპირო ზოლს, აღარ ჩერდება და მიდის.

დეპუტატმა, **თეიმურაზ ალექსაიამ** აღნიშნა, რომ მართლა ცუდი მდგომარეობაა მუნიციპალიტეტის კუთვნილ სანაპირო ზოლზე, რაც ტელევიზიითაც გაშუქდა. მუნიციპალიტეტში შექმნილია სოციალური სამსახური, რომლის შემადგენლობაში შედის ტურისტული განყოფილება. დეპუტატის თხოვნაა, რომ მათ გამოეყოს გარკვეული თანხა, რათა განახორციელონ სანაპირო ზოლის გაწმენდითი სამუშაოები, რადგან ეს მათი პირდაპირი მოვალეობაა.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **რომან ბიწაძემ** აღნიშნა, რამდენიმე დღის წინ ადგილი ჰქონდა

სამარცხვინო ფაქტს. კერძოდ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომლის კურსდამთავრებული გახლავთ დეპუტატი და ამით ძალიან ამაყობს, ჩატარდა კონფერენცია თემაზე „ევროკავშირის საფრთხეები საქართველოში“, ტრისტან წითელაშვილის ორგანიზატორობით. დეპუტატის თქმით, არ უნდა მოხდეს მსგავს პროვოკაციებზე აყოლა და ევროკავშირთან ინტეგრაცია უნდა გაგრძელდეს. ის ყოველთვის იყო და იქნება ევროკავშირის მომხრე. მისასალმებელია ასეთი პროექტების განხორციელება, მაგრამ საჭიროა მეტი აქტიურობა მუნიციპალიტეტის მხრიდან. შესაბამისად, გაიზრდება ევროკავშირის მიერ მათი მხარდაჭერა.

დეპუტატმა, **დარეჯან ბურჭულაძემ** აღნიშნა, რომ ბევრი პრობლემატური საკითხი დაისვა გრიგოლეთის და ყვავილნარის სანაპირო ზოლთან დაკავშირებით. დაახლოებით წელიწადნახევრის წინ მისმა სამსახურმა წარმოადგინა პროექტი გრიგოლეთის სანაპირო ზოლისა და მუნიციპალური პლიაჟის განვითარების შესახებ. მაშინ რომ ამ პროექტს ჰქონოდა მხარდაჭერა და დაწყებულიყო შესაბამისი სამუშაოები, ახლა ეს თემები არ წამოიჭრებოდა. მან მოუწოდა დეპუტატებს, რომ იყვნენ პრინციპულები და რაციონალურები, რათა მიღებული გადაწყვეტილება მიიყვანონ ბოლომდე.

„ოზურგეთის ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბის“ პროექტების კოორდინატორმა, **ლევან მჟავანაძემ** განმარტა, რომ მათ მიერ მოწვეული იქნება 6 ექსპერტი. მათთვის მიცემულ დავალებებში ერთ-ერთ საკითხად აუცილებლად იქნება გათვალისწინებული გრიგოლეთის თემა. რაც შეეხება სანაპირო ზოლის დასუფთავების საკითხს, ეს მათ კომპეტენციას ცილდება. შეიძლება აღნიშნული საკითხის დაყენება დირექტორთა საბჭოს შეკრებაზე, რომელსაც რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წარმომადგენელიც ესწრება, შესაბამისად, პრობლემის შესახებ პირდაპირ იქნება ინფორმაცია მიწოდებული. მან აღნიშნა, რომ ეს არის პირველი პრეცედენტი, როცა ევროკავშირის მხრიდან გრანტი გამოეყო თვითმმართველ მუნიციპალიტეტებს. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია წარმოდგენილი პროექტის წარმატებით განხორციელება, რაც იძლევა შანსს, რომ მომავალში ევროკავშირის მიერ დაფინანსდეს ინფრასტრუქტურული პროექტები. „ოზურგეთის ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბის“ პროექტების კოორდინატორმა, **ლევან მჟავანაძემ** მოუწოდა დეპუტატებს მხარი დაუჭირონ აღნიშნულ პროექტს, რათა გაგრძელდეს ურთიერთთანამშრომლობა და მუნიციპალიტეტისთვის გაკეთდეს მეტი სასარგებლო საქმე.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, **გიორგი ხელაძემ** მადლობა გადაუხადა „ოზურგეთის ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბის“ პროექტების კოორდინატორს, **ლევან მჟავანაძეს** გაწეული მუშაობისთვის და გამოთქვა მზადყოფნა შემდგომი ურთიერთთანამშრომლობისთვის.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილემ, **ნუგზარ ცინცაძემ** აღნიშნა, რომ გრიგოლეთის სანაპირო ზოლის დასუფთავებაში ხელისშემშლელი ფაქტორია, რომ ის არ არის აღიარებული საკურორტო ზონად. მისი შესწავლა მოხდა 1937 – 1938 წლებში და დადგინდა, რომ ქვიშის მაგნიტური შემადგენლობა შეადგენს 200 გამას, რაც საჭიროზე 100%-ით მეტია, მაგრამ აუცილებელია ხელახლე განხორციელდეს მისი გამოკვლევა. მან ასევე აღნიშნა, რომ უახლოეს მომავალში საკრებულოს წარედგინება 5 წლიანი

მუნიციპალური გეგმა მყარი ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით, რომელშიც ცალკე დეტალურად იქნება გაანგარიშებული და გაწერილი გრიგოლეთის ზონა და აღნიშნული პრობლემა გადაწყდება. ასე, რომ 2020 წლისთვის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა ამ კუთხით უზრუნველყოფილი იქნება სათანადო მომსახურებით.

შავი ზღვის საერთაშორისო კომისიის სანაპიროს ინტეგრირებული მართვის მრჩეველთა საბჭოს წევრმა, **ამირან გიგინეიშვილმა** მაძღობა გადაუხადა „ოზურგეთის ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბის“ პროექტების კოორდინატორს, ლევან მჭავანაძეს და აღნიშნა, რომ მისასაღმებელია, როცა ისეთი ორგანიზაციები, როგორცაა „ოზურგეთის ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბი“ და „სი ეი აი“ ახორციელებენ ურთიერთთანამშრომლობას მუნიციპალიტეტებთან. მან ასევე აღნიშნა, რომ პირადადაა ჩართული პროექტთან დაკავშირებულ სამუშაოებში და ბოლომდე ითანამშრომლებს მათთან.

დეპუტატების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

კენჭისყრას ესწრებოდა 22 დეპუტატი.

მომხრე: 22 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.

მიღებულ იქნა განკარგულება N 46 (07.06. 2017 წელი).

ამით საკრებულოს რიგგარეშე სხდომამ მუშაობა დაასრულა.

გიორგი ხელაძე

საკრებულოს თავმჯდომარე

საკრებულოს ბიურო